ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალური მუშაობის მიმართულება

მედეა შუკაკიძე

ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამები და სოციალური მუშაობის წვლილი მათ ეფექტიანობაში

ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გურანდა თეთრაძე, MSW

მოწვეული ლექტორი

თბილისი, 2023

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი 3

2.1 მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მომსახურებები.....5

2.2 საქართველოში არსებული მომსახურებები.....9

2.3 დემოგრაფიული მდგომარეობა და გენდერული საკითხები.....13

2,4 სოციალური მუშაკის როლი.....19

დასკვნა.....23

გამოყენებული ლიტერატურა.....25

ანოტაცია

ოჯახი, ოჯახის გაძლიერება და მხარდაჭერა დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან ინდივიდის განვითარება სწორედ ოჯახიდან იწყება. ხშირია მოწყვლადი ოჯახები, რომელთაც არ გააჩნიათ ელემენტალური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობაც კი. ამიტომაც, საჭიროა სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის მხრიდან მათი დახმარება, წახალისება, მხარდაჭერა და გაძლიერებაზე ზრუნვა.

წარმოდგენილი კვლევა ჩატარდა ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე. ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამების და მათ ეფექტიანობაში სოციალური მუშაობის წვლილის **კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დაგვედგინა, თუ რა პროგრამები და სერვისები არსებობს მოწყვლადი ოჯახების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად, რა შედეგებზე გადიან და რა როლს ასრულებს სოციალური მუშაობა ამ კუთხით**.

ხოლო, ლიტერატურის ანალიზისას, მთავარი ამოცანაა, წარმოჩინდეს, თუ როგორია არსებული პროგრამებისა და სერვისების ეფექტურობა, შეფასდეს, საქართველოში არსებული პროგრამები და მდგომარეობა და გაანალიზდეს, თუ რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას აღნიშნული ვითარების გაუმჯობესებისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოწყვლადი ოჯახების პრობლემები ხშირ შემთხვევაში კომპლექსურ ხასიათს იღებს და სიღარიბესთან ერთად ხშირია ფსიქოლოგიური, რეპროდუქციული პრობლემები, რომელთა მოგვარება ხშირ შემთხვევაში დიდ ძალისხმევას მოითხოვს. წარმოდგენილ ლიტერატურულ ანალიზში, ასევე, საქართველოსთან ერთად, განხილულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი, თუ რომელ ქვეყანაში რომელი ოჯახის გაძლიერების პროგრამა და სერვისი ფუნქციონირებს და როგორი შედეგები გამოიღო ოჯახების მიერ აღნიშნული პროგრამით სარგებლობამ.

შესავალი

თითოეული ოჯახის კეთილდღეობა, უსაფრთხოება, მხარდაჭერა და განვითარება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ოჯახებისათვის სიღარიბისა და ძალადობის დაძლევის პრევენციული პროგრამების შეთავაზება სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისათვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს. ხშირ შემთხვევაში სიღარიბე, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, კონფლიქტები და

ხანგრძლივი სტრესი ადამიანებს მუდმივი რეგრესისაკენ უბიძგებს. უქმნის თვითშეფასებისა და თვითრწმენის პრობლემებს; მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანები აპათიურობის განცდას ეძლევიან და გამოსავლის მოძებნა წარმოუდგენლად მიაჩნიათ. სწორედ ამ დროს გვევლინება დამხმარედ ყველა ის მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც ადამიანის გაძლიერებისკენაა მიმართული და ხელს უწყობს მათ თვითრეალიზებასა და ინტეგრაციას საზოგადოებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევაში წარმოდგენილია საქართველოში არსებული ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები, მომსახურებები, ორგანიზაციები. ასევე, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და შედეგები, თუ როგორი გავლენა იქონია მხარდამჭერმა პროგრამებმა მოწყვლად ოჯახებზე. გაანალიზებულია, თითოეული პრობლემის კომპლექსური სახე. წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, დოკუმენტების ანალიზი და მიმოხილვა. მთავარი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ეფუძნება საქართველოში არსებულ ოჯახის მხარდამჭერ ორგანიზაციებსა(კარიტასი, SOS ბავშვთა სოფელი, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა ,დაზარალებულთა დახმარების სააგენტო(ზრუნვის სააგენტო), სოციალური სამართლიანობის ცენტრი) და სხვადასხვა ქვეყნის უშუალო გამოცდილებას (აშშ, შვედეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, იტალია, ბელგია და სხვა). ასევე, ანგარიშში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური), ევროკავშირისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგრამები საქართველოში, ევროკავშირის ქვეყნებში ამოქმედებული პროგრამები (სოციალური ინოვაციების პროგრამა, კეთილდღეობის პროგრამა) და აშშ-ში ამოქმედებული სერვისები (child first, triple p program-positive parents program). გარდა ამისა, მიმოხილულია დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართული და მშობლობის წამახალისებელი (დეკრეტული შვებულება, საშეღავათო პირობები) სერვისები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობებისათვის.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამებზე მუშაობისას, გამოტანილი დასკვნების შესაჯამებლად, გადამწყვეტი და ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სხვადასხვა ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც საშუალებას იძლევა, უფრო თვალნათლივ წარმოჩინდეს ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამების როლი, ოჯახის დაგეგმვასა და განვითარებაში. სოციალური მუშაობის წვლილი კი ამ კუთხით-უმნიშვნელოვანესია.

ამ მიმართულებით დიდად დამხმარე აღმოჩნდა, პროექტი „ოჯახის გაძლიერების მოდელი“, რომელიც დაფინანსდა ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ- ოჯახის გაძლიერებისთვის, რა თქმა უნდა, ჯერ მოწყვლადი ოჯახების აღმოჩენა, იდენტიფიცირებაა საჭირო, რაც რეგიონში არსებული სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამედიცინო სერვისების მომწოდებლების მონაწილეობით მიიღწევა. სიღარიბე, უმუშევრობა, ოჯახური ძალადობის ფაქტები, მრავალშვილიანობა, ნივთიერებებზე და ქცევითი დამოკიდებულებები, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, პოზიტიური მშობლობის უნარების დეფიციტი- ეს ის კომპონენტებია, რომლებიც, ოჯახის მოწყვლადობის განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმებია (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2018). აღნიშნულმა პროექტმა კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ მოწყვლადი ოჯახებისათვის მხოლოდ სოციალურად დაუცველის სტატუსის (საქართველოს პარლამენტი, 2022) მინიჭება და ყოველთვიური ფულადი დახმარება სრულებით არაა ოჯახების გაძლიერების მთავარი საწინდარი, არამედ პირიქით, გაზარმაცებასაც კი შეიძლება შეუწყოს ხელი (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2018).

2.1 მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მომსახურებები

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახით გვხვდება ესა თუ ის პროგრამა, რომელიც ოჯახის გაძლიერებასა და მის მხარდაჭერას გულისხმობს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს პროგრამა, ასეთი სახელწოდებით- “child first”, იგი

მოიცავს დაბალშემოსავლიანი ოჯახების მცირეწლოვანი ბავშვებისათვის ოჯახში ვიზიტების განხორციელებას. ზემოაღნიშნული პროგრამით სარგებლობისათვის მცირეწლოვანს უნდა ჰქონდეს ქცევითი, ემოციური ან/და განვითარების სირთულე ან/და რისკი. ასევე, თუ ბავშვი ძალადობის ან უგულვებელყოფის მსხვერპლია, იგი ისარგებლებს child first-ის სერვისით. პროგრამა შეფასდა ბრიჯპორტში, კონექტიკუტის შტატში, რის შედეგაც გამოვლინდა, რომ პროგრამის 3 წლიანმა გამოყენებამ ოჯახების 42%-ში შეამცირა ძალადობის შემთხვევები, ხოლო 1 წლის თავზე კი, 70%-დან 40%-მდე შემცირდა მეტყველების და ქცევითი განვითარების სირთულეები. ამასთან, დედებს შეუმცირდათ ფსიქოლოგიური დისტრესის დონე. რაც შეეხება მომსახურების სპეციფიკას, ვიზიტები ხორციელდებოდა ბაკალავრის, მაგისტრატურის ხარისხის მქონე განვითარების/ფსიქიკური ჯანმრთელობის და ზრუნვის კოორდინატორების მიერ. ხოლო, ვიზიტის ხანგრძლივობა იყო 45 წუთიდან 90 წუთამდე(child first, 2018).

პოზიტიური მშობლობის პროგრამა (triple p program-positive parents program) ამჟამად გამოიყენება მშობელთა ფართო ჯგუფებთან, მათ შორის, ქცევითი და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ბავშვების მშობლებსა და აღმზრდელებთან. ზემოაღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართულ ბავშვებთან, მკვეთრად შემცირდა ქცევითი სირთულეები და ამასთან ერთად, გაუმჯობესდა თავად მშობლების/მზრუნველების მშობლობის მახასიათებლები(მშობლობის სტილი, დამოკიდებულება და ა.შ). დამატებით, იმატა ბავშვების სოციალურმა, ემოციურმა, ქცევითმა კეთილდღეობის დონემ (National Academies of Sciences, Engineering, and Medicine, 2016).

ასევე, ილინოისის შტატში ფუნქციონირებს პროგრამა სახელწოდებით- „სარეაბილიტაციო მენტორის პროგრამა“, იგი შემთხვევის მართვის სხვადასხვა მომსახურებას აწვდის მშობლებს, აღმზრდელებს, მზრუნველებს, რომელთაც დროებით შეეზღუდათ მშობლობის უფლება და დამოკიდებულნი არიან სხვადასხვა ნივთიერებაზე. პროგრამის კოორდინატორი, მენტორი მუშაობს უშუალოდ მშობელთან, ბავშვთა კეთილდღეობის შემთხვევის მმართველთან და ნივთიერებებზე დამოკიდებულების სარეაბილიტაციო ორგანიზაციებთან. პრიორიტეტული მიზნებია:

რეაბილიტაცია, უწყვეტი მხარდაჭერის მიწოდება და არსებული ბარიერების აღმოფხვრა. „სარეაბილიტაციო მენტორის პროგრამის“ შედეგების კვლევამ აჩვენა, რომ 14%-ით გაიზარდა იმ ოჯახების რიცხვი, რომელთაც ბავშვები დაიბრუნეს, ხოლო 15%-ით იმატა მინდობითი აღზრდის დახურული შემთხვევების რიცხვმა, სახელმწიფომ კი ბიუჯეტიდან თითოეულ ბავშვზე 2600$ დაზოგა მომდევნო 5 წლის განმავლობაში (Treatment Alternatives for Safe Communities., 2018).

კანადის მაგალითს თუ განვიხილავთ, ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების კუთხით,-კანადაში უფრო დიდი ყურადღება ოჯახის საშუალო შემოსავლებს ეთმობა და ძირითადად მიმართულია ფულად და მომსახურებით მხარდაჭერაზე, რისი განსაზღვრაც უშუალოდ მომსახურების მიმღებთა საჭიროებებიდან დგინდება (Shier & Graham, 2014).

საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური კეთილდღეობის პროგრამები ევროკავშირის ქვეყნებში საკმაოდ პოპულარულია და აქტუალურობით სარგებლობს. *საჭიროებებზე დაფუძნებული ბენეფიტების* მისაღებად აუცილებელია, რომ დადასტურდეს კონკრეტული საჭიროება ან/და პირის/ოჯახის შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატებოდეს. ასეთ შემთხვევაში, ნათელი ხდება, რომ პირს/ოჯახს ნამდვილად ესაჭიროება ესა თუ ის *ბენეფიტი* (Nelson, 2011).

ევროპის კომისიის 2014 წლის ანგარიშში(Social Innovation A Dacades Of Changes) წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის ბენეფიტების სისტემა, რომლის მიმოხილვაც გვიჩვენებს სხვადასხვა ქვეყნის პრიორიტეტებს. ევროკავშირის ქვეყნებში ფუნქციონირებს უახლესი ტიპის მიდგომები და მხარდამჭერი სერვისები. მაგალითად, ხორვატიაში ამჟამად ფუნქციონირებს ახალი სოციალური კეთილდღეობის აქტი, რომელიც მოიცავს 8 ტიპის ბენეფიტს, ესენია: სოციალური დახმარება, განათლების მხარდაჭერა, შშმ პირთა ბენეფიტი,საცხოვრისით უზრუნველყოფა,ასისტირებისა და ზრუნვის დახმარება, ერთჯერადი დახმარება, მშობლების ბენეფიტი და შშმ პირთა ინკლუზიის ბენეფიტი. თითოეული ბენეფიტი იმ მოწყვლად ჯგუფზეა მიმართული, რომელსაც ამის საჭიროება ყველაზე მეტად აქვს. მინიმალური შემოსავლის უზრუნველსაყოფად მიმართული დახმარება ქვეყანაში ყველაზე დაბალი შემოსავლის

მქონე ოჯახებზე ნაწილდება, რომლებიც შემდეგ დასაქმების პროგრამებში უნდა ჩაერთონ.

სლოვაკეთი ინტეგრირებულ პაკეტებს აწვდის მომსახურების მიმღებებს, რომელშიც სხვადასხვა პროგრამებია ერთად თავმოყრილი და გაერთიანებული, თუმცა უმეტესად მაინც ორიენტირებულია მომსახურების მიმღებთა მოტივაციის ამაღლებაზე, რათა დასაქმების სურვილი გაუჩნდეთ და სხვადასხვა დასაქმების პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა.

იტალია ჩართულია ინკლუზიური მექანიზმების განვითარებაში და ფულადი მხარდაჭერის უფრო მკაცრ პოლიტიკას აწესებს, რაც შემოსავლის ზღვარს უკავშირდება. ბენეფიტებით სარგებლობისას პრიორიტეტი ენიჭებათ ყველაზე მეტი საჭიროების მქონე მოწყვლად ოჯახებს.

საბერძნეთში ამოქმედებული რეფორმის სისტემა იტალიაში გახორციელებული რეფორმათა სისტემის მსგავსია და ძირითად აქცენტს ბავშვებიან ოჯახებზე აკეთებს.

რაც შეეხება ბელგიის მაგალითს, მან მკვეთრად გაზარდა მინიმალური შემოსავლის ქვემოთ მყოფი ოჯახების ბენეფიტებზე დანახარჯი (Nelson, 2011) (European Commission, 2014).

ევროკომისიას აქვს შემუშავებული *სოციალური ინოვაციების პროგრამა,* რომლის მთავარი მიზანიც ახალი იდეების ხელშეწყობა, მათზე ზრუნვა, მხარდაჭერა და განვითარებაა. იგი მოიცავს აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებას, სოციალური და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ხელშეწყობას (European Commission, 2014).

სოციალური ინოვაციების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა I-cane ინიციატივა, რომელიც მიმართულია მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანების მობილობის გაზრდისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისაკენ. ევროპის კონტინენტზე სტატისტიკურად 13 მილიონ ადამიანს აქვს მხედველობის შეზღუდვა, რომლებიც გადასაადგილებლად იყენებენ თეთრ ხელჯოხებსა და ძაღლებს, რომელზეც დამოკიდებულნი არიან, რათა ქუჩაში შეძლონ გადაადგილება. რაღა თქმა უნდა,

ძაღლების და თეთრი ხელჯოხების გამოყენება სრულყოფილ გამოსავალს არ წარმოადგენს და მათი ეფექტიანობა იზრდება მხოლოდ იმ ადგილებში, რომელ ადგილებსაც მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანი კარგად იცნობს. ეს ყოველივე, თავის მხრივ, იწვევს შშმ პირთა სოციალურ და ეკონომიკურ იზოლაციას და გარიყვას საზოგადოებიდან. თავად ფონდი, პროგრამა I-cane, 2004 წლიდან დაარსდა, თუმცა, სახსრებისა და დაფინანსების მოპოვება, პროგრამის საპილოტე რეჟიმში გამოყენება, 2013 წლამდე გაგრძელდა. აღნიშნულ პროგრამაში მოსამზადებელ სამუშაოებს საკმაოდ სოლიდური თანხა დასჭირდა, რაშიც მონაწილეობა ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, ევროკავშირისგან დაფინანსებულმა უწყებებმა და კერძო და არასამთავრობო სექტორმა მიიღეს. თავად I-cane- წარმოადგენს თეთრ ხელჯოხს, რომელშიც ჩაშენებული, ჩამონტაჟებულია, სატელიტური ნავიგაციის ინფორმაცია და ასევე, სენსორები, ალგორითმები და დამატებითი ტექნოლოგია ქვეითის გზაზე უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის (European Commission, 2014) (Directorate for Employment, Social Affairs and Inclusion., 2015).

საბერძნეთში, იმ მოქალაქეებს, რომელთაც ყველაზე მეტი სოციალური და ეკონომიკური საჭიროება აქვთ, სოლიდარობის ცენტრი სთავაზობს ინტეგრირებულ სოციალურ მომსახურებებს, ესენია: იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, დასაქმების პროგრამა, სპეციალური მომსახურებები(მეტყველების, ოკუპაციური თერაპია), თავშესაფრის მომსახურება, პერინატალური ზრუნვა (Directorate for Employment, Social Affairs and Inclusion., 2015).

2.2 საქართველოში არსებული მომსახურებები

რაც შეეხება საქართველოს მაგალითს, საქართველოში ფუნქიონირებს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ child first-ის სერვისის ქართული ანალოგია. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა „ბავშვის უფლებათა კოდექსზე“ დაფუძნებული მხარდამჭერი ღონისძიებაა, რომლის მთავარი მიზანი ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებაა, შეზღუდული შესაძლებლობების განვითარების და მიტოვების პრევენციასთან ერთად. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს დაბადებიდან შვიდ

წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის ან/და ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების შეფასებასა და ადრეულ ინტერვენციას. პროგრამა მოიცავს იდენტიფიცირებული ბავშვების მოტორული, კოგნიტური, ემოციური და კომუნიკაციური განვითარების ხელშეწყობას, პრევენიას, ასევე, მათი მშობლების გაძლიერებასა და განათლებას ბავშვთა აღზრდა-განვითარების სფეროში. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს: საჭიროების განსაზღვრას, ბავშვსა და ოჯახზე ინდივიდუალური გეგმის მომზადებასა და 6 თვეში ერთხელ გადასინჯვას, მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან რამდენიმე(ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ადრეული განვითარების სპეციალისტი, ლოგოპედი და სხვა) სპეციალისტის ჩართულობას, ბავშვის განვითარების სფეროების სტიმულირებას(ემოციური, კოგნიტური, ფიზიკური, სოციალური, ადაპტური ქცევა) და მშობელთა ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ზრდას. შესაბამისი პროფესიონალების ჩართვა და ჩართულობის ჯერადობა განისაზღვრება შეფასებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ გეგმაში. ხოლო, ოჯახში მაქსიმალური ვიზიტების რაოდენობა შეადგენს თვის განმავლობაში 8-ს. მაგალითად, შემთხვევაში ჩართული სპეციალისტები მშობლებს შეიძლება დაეხმარონ ისეთი უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კვება, ძილი, ჰიგიენა, ბავშვის მოვლა, თამაში და სხვა რუტინული აქტივობები, ასევე, პოზიტიური მშობლობა(ბავშვისა და მშობლის მიჯაჭვულობა, ემოციური რეგულაცია, ინტერაქცია), ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა და ოჯახის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა(ჯანსაღი, პოზიტიური კომუნიკაცია, ერთმანეთის მხრდაჭერა, თანადგომა).

ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების კუთხით, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის გარდა (საქართველოს მთავრობა, 2023), მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ორგანიზაცია სწევს მსგავს მომსახურებას. მაგალითად, საქართველოს SOS ბავშვთა სოფელს აქვს ოჯახის გაძლიერების პროგრამა,რომელიც ითვალისწინებს: ფსიქო-სოციალურ დახმარებას, დასაქმებასა და თვითდასაქმებაში ხელშეწყობას, დღის ცენტრების მომსახურებას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისათვის და დედათა და ბავშვთა სადღეღამისო თავშესაფრებს. აღნიშნულ ოჯახის გაძლიერების პროგრამაში

დღესდღეობით ჩართულია 1024 ბავშვი ქვეყნის მასშტაბით (SOS ბავშვთა სოფელი საქართველო).

საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის მიერ, SOS-ის ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა კვლევა, რომლის მთავარი მიზანი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვიანი ოჯახის საჭიროებების დადგენა იყო. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვიანი ოჯახების მთავარ პრობლემად, ისევ და ისევ, სიღარიბე და უმუშევრობა რჩება, რასაც თან ერთვის ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, მამების ინდიფერენტულობა საოჯახო საქმეებში ჩართვის მიმართ და ძალადობრივი შემთხვევები. კვლევაში მონაწილე პირებმა, მშობლებისაგან განსხვავებით, პრობლემურ საკითხად, ბავშვის აღზრდის უნარ-ჩვევების ნაკლებობა და მშობელთა განათლების დაბალი დონე დაასახელეს. კვლევის ფარგლებში, ერთ-ერთ გამოწვევად, ბავშვთა სექსუალური ძალადობისაგან დაცვა დასახელდა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებაში ჯერ კიდევ ტაბუ დადებულ თემად განიხილება ("საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი", 2022).

შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვებისა და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ცნობიერების ამაღლება და არაფორმალური განათლება (მათ შორის სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით), ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაძლიერება, ახალგაზრდების მხარდაჭერა და გაძლიერება არის ის საკვანძო საკითხები, რომლის გარშემოც ფოკუსირება უნდა ხდებოდეს ("საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი", 2022).

გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ოჯახების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, დაიგეგმა საჭირო ინტერვენიები და მომსახურებები, რომლითაც კვლევაში მონაწილე ოჯახები ისარგებლებდნენ. ამ ყველაფრის შემდგომ, მიღებული მომსახურებების კვლევამ აჩვენა, რომ მატერიალური დახმარება გაეწია ოჯახთა 70%-ს, ტრენინგ-კურსებში ჩაერთო და ძალადობის შესახებ ცნობიერება აიმაღლა 85%-მა. 69%-მა, რომელსაც ჰქონდათ ოჯახში ძალადობის პრობლემები, მოაგვარა ეს საკითხი. ხოლო, ბავშვების 82%-მა გაიუმჯობესა საკომუნიკაციო უნარები და სოციალიზაციისა და ინტეგრაციის დონე საზოგადოებაში (ACT, 2019). წარმოდგენილ შედეგებში კიდევ

ერთხელ იკვეთება, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს, ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამებს და მათ ეფექტურობას.

საქართველოში არსებული მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამების განხილვისას, აუცილებელია განვიხილოთ ძალადობის წინააღმდეგ არსებული სერვისები თუ ორგანიზაციები. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდს აქვს ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის პროგრამა. არაძალადობრივი გარემოს შექმნა და ჰარმონიული თანაცხოვრება თითოეული ოჯახის ფუნდამენტური საჭიროებაა. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის 2020-2025 წლის ძირითადი სტრატეგია, ძალადობასთან დაკავშირებით, ცნობიერების ამაღლებაა(საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

ოჯახში ძალადობა და არაჯანსაღი, დისკრიმინაციული გარემო, დღემდე რჩება ბავშვების განვითარებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად, სიღარიბესთან ერთად. 2017 წელს, საქართველომ ხელი მოაწერა „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კანონის რატიფიცირებას, თუმცა ამით პრობლემა არ მოგვარებულა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ძალადობის აღსაკვეთად, შეიძლება ითქვას, რომ გეგმამ არ გაამართლა და პრობლემასთან ბრძოლის უფრო კომპლექსური მეთოდებია საჭირო (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017).

საქართველოს კარიტასში ფუნქციონირებს მშობელთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მშობელთა მხარდაჭერას, მათ გაძლიერებას, განვითარებას, რათა მათ შეეძლოთ სათანადო დონის ზრუნვის მიწოდება საკუთარი შვილებისათვის. კარიტასში მომუშავე სოციალური მუშაკი აფასებს ოჯახებს, უწევს მათ სათანადო დახმარებას და საჭიროების შემთხვევაში გადაამისამართებს სხვადასხვა უწყებებში, რათა შესაბამისმა ოჯახებმა შეძლოს საჭირო სერვისებისა და მომსახურებების მიღება.იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელს უწევს რთული ქცევის მქონე შვილზე ზრუნვა, კარიტასში, მშობლებს მიეწოდებათ ფსიქოლოგის მიერ ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქო-ემოციური პრობლემების გადასაჭრელად. ამასთანავე,

ფსიქოლოგი აწვდის მშობლებს ინფორმაციას პოზიტიურ მშობლობასა და რთული ქცევის მართვასთან დაკავშირებით. მაგალითად, როგორ უნდა გადაჭრას მშობელმა ესა თუ ის პრობლემა არაკონფლიქტური გზით და შეძლოს ბავშვის განვითარების ეტაპებზე გარკვეული ცოდნის მიღება. მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის ტარდება ერთობლივი აქტივობები, ეწყობა ფილმების ჩვენება და ექსკურსიები. იმისათვის, რომ მშობლებმა შეძლონ ერთმანეთისათვის საჭირო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, შექმნილია პლატფორმა სახელწოდებით: "მშობლები-ეხმარებიან-მშობლებს". ხოლო, ეკონომიკური მხარდაჭერისათვის, აღმზრდელებს საშუალება ეძლევათ, შეისწავლონ ახალი პროფესია და დაეუფლონ ახალ უნარ-ჩვევებს. მათ შეუძლიათ თმის სტილისტის, კულინარიის, ჭრა-კერვის, ფრჩხილის მოვლის, კოსმეტიკისა და საკონდიტრო კურსების გავლა (კარიტასი, 2021).

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აქვს ბავშვზე ზრუნვისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის ყოველწლიურად განახლებადი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოწყვლად ოჯახებსა და ინდივიდებზე ზრუნვას, მათ მხარდაჭერას, გაძლიერებას, ინტეგრაციასა და სოციალიზაციას საზოგადოებაში. პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს, ესენია: დღის ცენტრების მომსახურება, კრიზისული ცენტრის დახმარების ქვეპროგრამა, ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა, თავშესაფრით უზრუნველყოფა, მინდობითი აღზრდის ქვეპროგრამა, ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა და სხვა. თითოეული მათგანი ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და „ბავშვთა უფლებათა კოდექსში" განხილული თითოეული მუხლის აღსრულებაზე (სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) (საქართველოს პარლამენტი, 2019).

2.3 დემოგრაფიული მდგომარეობა და გენდერული საკითხები

საქსტატის მონაცემებით, საქართველოში ქალების მხოლოდ 40 %-ია დასაქმებული, რაც ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ ქალები სახლის საქმეებისა და სამსახურის ერთმანეთთან შეთავსებას ვერ ახერხებენ. სწორედ ამ მიზეზით საქართველო მთლიანი შიდა პროდუქტის 11%-ს კარგავს ერთ სულ მოსახლეზე. საშინაო საქმეების

გადანაწილებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ისევ და ისევ გენდერულ საკითხებს ეთმობა. სახლის მოვლის, ბავშვზე ზრუნვის, საჭმლის კეთების მთლიანი დატვირთვა ქალებზე მოდის, ხოლო ამ ყველაფერს ემატება გენდერული დისკრიმინაცია და სტერეოტიპები, რომ თითქოს ქალის მთავარი მისია მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა და ბავშვების აღზრდაა.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს გენდერული პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებას. მაშინ, როდესაც სახელმწიფო და კერძო სექტორი მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული ადამიანების სრულ თვითრეალიზებასა და განვითარებაზე, თითოეულ ჩვენთაგანს აღარ მოგვიწევს დავდგეთ დილემის წინაშე- ოჯახი თუ კარიერა?! ან/და უარი ვთქვათ კარიერასა ან შვილის გაჩენაზე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა ქართულმა კერძო კომერციულმა კომპანიამ-„მეამა“, ხელი მოაწერა გაეროს მოსახლეობის ფონდთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს,რომლის მთავარი მიზანი გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დანერგვა და ოჯახზე ორიენტირებული სამუშაო გარემოს შექმნაა. (UNPFA საქართველო, 2022). აღნიშნული მაგალითი ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია, ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების კუთხით. გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დეკრეტული შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა, დედებთან ერთად, მამებსაც ექნებათ.

შობადობის ზრდისა და ბავშვის აღზრდის მხარდამჭერი პრაქტიკა საქართველოსა და მსოფლიოში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედებს ბავშვის/ოჯახის დახმარების ფინანსური პროგრამები, რომლებიც ძალიან დადებითად აისახება მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და ხელს უწყობს მოწყვლად ოჯახებს, რათა შეძლონ შვილების გაჩენა. ფინანსური დახმარების ოდენობა დამოკიდებულია ბავშვების რაოდენობაზე ოჯახში. ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, ფინანსური დახმარების პროგრამით სარგებლობა შესაძლებელია პირველი ბავშვის გაჩენის დღიდან, ხოლო ყოველ მომდევნო ბავშვზე ფინანსური დახმარების ოდენობა თანდათან იზრდება. მაგალითად, რამდენიმე ქვეყნის მონაცემები რომ წარმოვადგინოთ:

ქვეყანა	ფინანსური დახმარების მიღების პირობები	ბავშვის რაოდენობა/ასაკი	დახმარების ოდენობა/ყოველთვიურად
საფრანგეთი	• მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი • ასაკი: 20 წლამდე	ერთი ბავშვი ორი ბავშვი სამი ბავშვი ოთხი ბავშვი ხუთი ბავშვი ყოველი შემდეგი ბავშვი	0 € 120.30 € 274.47 € 428.62 € 585.68 € 154.92 €
ლუქსემბურგი	• მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი • ასაკი: 18 წლამდე 27 წლამდე - განათლების მიმღები პირი;	I-ლი ბავშვი მე-II ბავშვი მე-III და ყოველი შემდეგი ბავშვი	185. 60 € 440.72 € 802.74 € 361.82 €
ბელგია	• მოქალაქე/მაცხოვრებელი • აღმზრდელი • შშმ პირი-შეუზღუდავად	I-ლი ბავშვი მე-II ბავშვი მე-III და ყოველი შემდეგი ბავშვი	90,28 € 167,05 € 249,41 €

საქართველოში ფულად დახმარებას (საარსებო შემწეობა), ბავშვები, 16 წლამდე პირები, 2023 წლის 1 ივლისიდან 200 ლარის ოდენობით აიღებენ, თუ მათი სარეიტინგო ქულა 120001-ზე ნაკლებია (საქართველოს მთავრობა, 2023), თუმცა ეს არ არის საკმარისი ოჯახების სიღარიბის დასაძლევად. ამასთანავე, ორი ან მეტი ფულადი დახმარების მიღება დაუშვებელია (ცუხიშვილი & თუშურაშვილი, 2016). საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას თუ განვიხილავთ, ვითარება არც თუ ისე სახარბიელოა, ვინაიდან შობადობის კოეფიციენტი ასეთია:გრაფიკი N1(შობადობის ზოგადი

კოეფიციენტი)



(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

ხოლო, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ასე გამოიყურება: გრაფიკი N2(მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი)



(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

როგორც ვხედავთ, მოკვდაობის კოეფიციენტი შობადობის კოეფიციენტს აღემატება, რის გამოც აუცილებელია მიღებული იქნეს რაიმე ზომები, რათა დემოგრაფიული მდგომარეობა გაუმჯობესდეს. რაღა თქმა უნდა, სოციალური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ეწყობოდეთ ხელი ორსულებს, ახლადნამშობიარებ დედებს, ახლადშექმნილ ოჯახებსა და იმ წყვილებს რომელთაც ბავშვის აყვანა გადაწყვიტეს. მართალია, საქართველოში ფუნქციონირებს კანონი „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესთან“ დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული კანონი სრულად ვერ აკმაყოფილებს რეალურად იმ პირობების შექმნას, რაც ჩვილზე ზრუნვისთვისაა საჭირო. მაგალითად, დასაქმებულს 2020 წლამდე ეძლეოდა 477 დღე შვებულება, რომელთაგან მხოლოდ 126 კალენდარული დღე იყო ანაზღაურებადი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2006), ხოლო 2021 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა შრომის რეფორმა, რომელიც დეკრეტული შვებულებით სარგებლობის ვადებსა და პირობებს შეეხო. ზოგადად, საქართველოში დეკრეტული შვებულებით სარგებლობის ვადა 2 წელია, თუმცა, დღეის მდგომარეობით, აქედან მხოლოდ 6 თვეა

ანაზღაურებადი და ეს ანაზღაურება 1000 ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა, რა თქმა უნდა არ არის საკმარისი რათა დედისა და ჩვილის საჭიროებები სრულყოფილად დაკმაყოფილდეს, ამის გამო, მშობლები იძულებულნი არიან არ გამოიყენონ სრულყოფილად შვებულების პერიოდი და სამსახურში ვადაზე ადრე დაბრუნდნენ, რათა შეძლონ ანაზღაურების მიღება და იმ საჭიროებების დაკმაყოფილება, რომელიც მათთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირობებით სარგებლობა მხოლოდ საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს შეუძლიათ და კერძო სექტორში მომუშავე პირები ამ მიზერული დახმარებითაც კი ვერ ისარგებლებენ. 2021 წლის მონაცემებით,დამსაქმებელთან ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 810000 ადამიანს, რომელთაგან 415 000 ქალია, ხოლო ამ რიცხვების უკან რამდენი ქალი და დედა „იმალება“ ჯერ კიდევ დაუდგენელია, რომელთაც უჭირთ ბავშვის გაჩენა სოციალური პირობების გამო ან/და უარეს შემთხვევაში უარსაც კი ამბობენ, სურვილისდა მიუხედავად.

აღნიშნული რეფორმის პირობებში, ყველაზე სასიკეთო ცვლილებად შესაძლოა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება უკვე კაცებსაც აქვთ, თუმცა გენდერული უთანასწორობის წინაშე ამჯერად კაცები დგანან, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევათაგანია. დეკრეტული შვებულებით სარგებლობა შეუძლია მამაკაცს, თუ ამ შვებულებას ბავშვის დედა გაუნაწილებს. ახალშობილის მამას დეკრეტული შვებულება ბავშვის დაბადებიდან24 თვის განმავლობაში ეძლევა, რომლიდანაც 20 თვის გამოყენების შესაძლებლობა აქვს. განისაზღვრება, რომ 20 თვე არის ბავშვზე ზრუნვის პერიოდი, ოღონდ დედასთან შეთანხმებით. ორივე მშობელმა აღნიშნული დეკრეტული შვებულება უნდა გაინაწილონ. განაწილება ეხება სახელმწიფოს მხრიდან 1000 ლარიან ანაზღაურებას, ორივე მშობელი ვერ შეძლებს აღნიშნული ანაზღაურების მიღებას. მაშინ, როდესაც, მამას აქვს უფლება, რომ ბავშვის დედასთან ერთად გავიდეს დეკრეტულ შვებულებაში, განსაკუთრებით კი ბავშვის პირველი თვეების ოჯახთან ერთად გასატარებლად, სახელმწიფო ამის შესაძლებლობას ფიზიკურად არ იძლევა (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021). ანაზღაურებადი შვებულების პირობების მხრივ, საქართველოს, ევროპის ქვეყნებს თუ შევადარებთ, მდგომარეობა ასეთია: შვებულება სრულიად უნაზღაურდებათ-პორტუგალიაში,

გერმანიაში,სლოვენიაში,ესპანეთში,ლუქსემბურგში,საფრანგეთში, დანიაში, ავსტრიაში და ასე შემდეგ, ხოლო, ნაწილობრივ-ბულგარეთში, ლატვიაში, უნგრეთში და სხვა(გოგოლაძე, 2019).

შვედეთი წარმოადგენს პირველ, ყველაზე სანიმუშო ქვეყანას, მშობლების შვებულების კუთხით. შვედური პოლიტიკის მთავარი მიზანი, მშობლების დახმარებასა და წახალისებასთან ერთად, გენდერული ბალანსის მიღწევაა. ჯერ კიდევ 1995 წელს გატარდა მთელი რიგი რეფორმები, რომელიც მამის როლის უფრო მკვეთრს ზრდას ემსახურებოდა ბავშვის აღზრდის პროცესში. 2002 წელს გაზარდეს შვებულების დრო ორივე მშობლისათვის, ხოლო, 2006 წელს გაზარდეს საშვებულებო ანაზღაურების ზედა ზღვარი იმ მამებისათვის, რომლებიც მაღალშემოსავლიანებად ითვლებოდნენ. უშუალოდ გენდერული საკითხების მოსაგვარებლად და ბალანსის მისაღწევად, 2008 წელს შემოიღეს საგადასახადო შემოსავლები იმ მშობლებისათვის, რომლებიც ყველაზე უკეთესად მოახერხებდნენ და გადაანაწილებდნენ დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობას ერთმანეთში, რათა ბავშვის აღზრდაში ორივე მშობელს თანაბრად მიეღო მონაწილეობა. აღნიშნული რეფორმა არა მხოლოდ უშუალოდ ბავშვსა და თითოეულ მშობელზე ახდენს გავლენას, არამედ რეფორმა ბევრად დიდ სპექტრს მოიცავს და მას მსოფლიოს დღემდე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და განხილვად საკითხამდე, გენდერულ თანასწორობამდე მივყავართ (გოგოლაძე, 2019).

2,4 სოციალური მუშაკის როლი

ხშირია შემთხვევები, როდესაც ინდივიდი ან თუნდაც მთლიანი ოჯახი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების სრულიად ან ნაწილობრივ შესრულებას მაინც. ამ დროს თავს იჩენს სოციალური მუშაკის ჩართულობის აუცილებლობა. კონსულტირება სოციალური მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მისი მთავარი მიზანი ბენეფიციარის მდგომარეობის გაუმჯობესება და სირთულეების დაძლევაა. სოციალურ მუშაკთა

მიდგომები კონსულტირების დროს ძირითადად ჰოლისტურია(სისტემური) და ფოკუსირებულია მომსახურების მიმღებსა და მის გარემოსთან ურთიერთქმედებაზე. კონსულტირება, როგორც წესი, ძირითადად სამი ეტაპისაგან შედგება, ესენია: 1) შესწავლა, შეფასება, დაგეგმვა; 2) დასახული მიზნების შესრულება და შემუშავებული გეგმის პერიოდული გადასინჯვა; 3) შედეგის შენარჩუნება და დასრულება (საძაგლიშვილი & შეყრილაძე, 2020). რაც შეეხება, სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევებს კონსულტირების განხორციელების პროცესში, წარმოგიდგენთ საბაზისო უნარ-ჩვევებს:1) ნდობის მოპოვება, 2) ინფორმაციის შეგროვება, 3) სტრუქტურირება, 4) შეგროვებული მასალის გაცემა, 5) შინაარსის რეფლექსია, 6)გრძნობების რეფლექსია, 7) შინაარსების და გრძნობების შეჯამება, 8) თვით-გახსნის გამოყენება, 9) კონფრონტაცია, 10) ინტერპრეტაცია, 11) ქცევის შეცვლა და 12) დასრულება(საძაგლიშვილი & შეყრილაძე, 2020).

მოწყვლად ჯგუფებთან, ოჯახებთან მუშაობის დროს, სოციალური მუშაკი სხვადასხვა მიდგომებსა და მეთოდებს იყენებს. მაგალითად: ბოუენის ოჯახის სისტემური თეორია(დისტანციურობა და დაკავშირებულობა); გამოცდილებაზე დაფუძნებული მოდელები(„აქ და ამჟამად“); კემპლერის ოჯახის გეშტალტის თერაპია (პიროვნების გამთლიანება, ადამიანის ქცევის გაგება) და სხვა (საძაგლიშვილი & შეყრილაძე, 2020). ინდივიდუალური შემთხვევის სფეციფიურობიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკი მომსახურების მიმღებთან ერთად განსაზღვრავს, თუ რომელი მიდგომა თუ მეთოდი იქნება მისთვის უფრო რელევანტური და იწყება აქტიური მუშაობა, მათ შორის, პრევენციული ზომების გათვალისწინებით.

ამასთან ერთად, სოციალურ მუშაობაში ადვოკატირება ერთ-ერთი თანმდევი პროცესია. სოციალური მუშაობის განვითარებასთან ერთად, სოციალურ მუშაკებს ადვოკატის ფუნქციის შესრულებაც უწევდათ, რაც ძირითადად სამ დონეზე ხორიელდება: ინდივიდისა და ოჯახის დონეზე, სისტემისა და პოლიტიკის დონეზე, საკანონმდებლო დონეზე (საძაგლიშვილი შ. , შეყრილაძე, შატბერაშვილი, მგელიაშვილი, & ნამიჭეიშვილი, 2011).

ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამებზე საუბრისას, ძირითადად პირველ ორ-ინდივიდისა და ოჯახის დონეზე და მცირედით პოლიტიკის დონეზე ვისაუბრეთ. ზემოაღნიშნულ პროგრამებში და მათ ეფექტურ გამოყენებაში სწორედ სოციალური მუშაკია ჩართული, რომელიც მცდელობას არ იშურებს საუკეთესო შედეგის მისაღწევად და ბენეფიციარის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სოციალური მუშაკები ჩართულნი არიან და უზრუნველყოფენ მოწყვლადი ოჯახების საჭიროებების დამაყოფილების პროცესს, ესენია: ბავშვის შვილად აყვანა; ბავშვის მხარდაჭერა, საუკეთესო ინტერესების დაცვა, მეურვეობა, მზრუნველობა და საპროცესო წარმომადგენლობა; მეურვის, მზრუნველის, მხარდამჭერის საქმიანობის ზედამხედველობა და რეკომენდაციების გაცემა; ბავშვთა ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან დაცვა და სხვა (საქართველოს პარლამენტი, 2022).

სოციალური მუშაკების მიერ, SOS ბავშვთა სოფლის ფარგლებში, ოჯახის გაძლიერების პროგრამაში ჩართული ბენეფიციართა 95% აღნიშავს, რომ მათი სოციო-ეკონომიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ძალიან გაუმჯობესდა. აღნიშნული პროექის ფარგლებში, ბენეფიციარებმა მიიღეს საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსებსა და ცნობიერებს ამაღლების კამპანიებში მონაწილეობა, რომლებიც უკავშირდებოდა პოზიტიურ მშობლობას, გენდერულ პოლიტიკას, ძალადობასთან ბრძოლასა და სტრესის მართვას. პროექტში მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ მათ ბევრი ახალი ინფორმაცია შეიტყვეს, ისწავლეს სტრესთან გამკლავების სხვადასხვა გზა, მეტად თბილები და ყურადღებიანები გახდნენ შვილების მიმართ, უფრო მეტად გამოხატავენ გრძნობებსა და ემოციებს. ეს ყოველივე აუმჯობესებს მათ ყოველდრიურ გუნება-განწყობილებას, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ადამიანის ნორმალური ფუნქციონირებისა და თვითრეალიზებისათვის. მართალია, ოჯახის გაძლიერების პროგრამაში მონაწილე მომსახურების მიმღებთა ეკონომიკური მდგომარეობა ძირეულად არ შეცვლილა, თუმცა ოჯახებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს დადებითი კუთხით. ზოგიერთმა ოჯახმა შეიძინა მსხვილფეხა პირუტყვი, ზოგიერთ ოჯახში გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები, ბავშვებმა მიიღეს სასკოლო ინვენტარი, წიგნები და საკანცელარიო ნივთები (ACT, 2019).

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულიდან კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ ოჯახის გაძლიერებისა და მხარდაჭერის პროგრამებში სოციალური მუშაობის ეფექტურობა ძალიან მაღალია. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მიღწეული შედეგები სოციალური მუშაობისა და სოციალური მუშაკების დამსახურებაა.

დასკვნა

ზემოაღნიშნულ მიმოხილვაში გამოვლინდა მთავარი- თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ოჯახების სოციალურ, ეკონომიკურ უზრუნველყოფას, მათ მხარდაჭერასა და გაძლიერებას, ასევე, ოჯახებში არაძალადობრივი გარემოს შექმნასა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დანერგვას. სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორმა უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და შექმნას სამოქმედო გეგმა, რომელიც უკეთეს პირობებს შეუქმნის მოწყვლად ოჯახებს და დაეხმარება მათ საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში.

გენდერული დისბალანსი ისევ და ისევ აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით კი ოჯახური საქმიანობისა და კარიერული ზრდის კუთხით. დამსაქმებლების მხრიდან

მაქსიმალურად უნდა ეწყობოდეთ ხელი დასაქმებულებს, რათა მათ დილემის წინაშე დგომა არ მოუწიოთ-„კარიერა თუ ოჯახი“.

საქართველოში არსებული ოჯახის მხარდამჭერი პროგრამებიდან, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე ღირებულია, იმ კუთხით, რომ იგი კომპლექსურ ხასიათს ატარებს და თითოეული პრობლემის მომცველია, რაც კი ოჯახის პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს(შშმ პირები, ხანდაზმულთა უფლებები, ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, ქალთა მიმართ ან/ და ოჯახში ძალადობის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, იურიდიული და სამედიცინო დახმარება, საზოგადოებაში ინტეგრაცია).

ოჯახების სოციალური სიდუხჭირე და დემოგრაფიული პრობლემები დღემდე ერთ-ერთ ყველაზე გადაუჭრელ პრობლემად რჩება, რომლის მოგვარებაც ზემოაღნიშნული პროგრამებითა და სერვისებითა ვერ ხერხდება.

სოციალური მუშაკები ფუნდამენტურ როლს თამაშობენ მოწყვლადი ოჯახების სხვადასხვა პროგრამაში ჩართვასა და მათ უზრუნველყოფაში. შეიძლება ითქვას, რომ მოწყვლადი ოჯახების პროგრესი და გაუმჯობესებული მდგომარეობა სწორედ სოციალური მუშაკების მთავარი მიღწევაა.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაძე, ხ. (2019). *დეკრეტული შვებულების საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისობა ევროდირექტივასთან და სამართლებრივი დაახლოების პერსპექტივა.*

თბილისი.კარიტასი. (2021). *მშობელთა მხარდაჭერის პროგრამა.* მოპოვებული https://caritas.ge/268--.html- დან

საქართველოს პარლამენტი. (20 09 2019). *ბავშვის უფლებათა კოდექსი.* მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=3- დან

"საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი". (2022). *ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.*

ACT. (2019). *ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ოჯახების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური გაძლიერების პროექტის საბოლოო შეფასება.*

საქართველოს პარლამენტი. (2022, 11 30). *სოციალური მუშაობის შესახებ.* ამოღებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=7 -დან

საქართველოს პარლამენტი. (29 12 2006). *საქართველოს საკანონმდელო მაცნე.*

მოპოვებული საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=16- დან

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. *ხედვა და მისია.* მოპოვებული http://phf.org.ge/ka/about/xedva-da-misia/- დან

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2006). *ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“*. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/66208?publication=0- დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). *ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა(დაზარალებულთა)დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.* თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *მოსახლეობა და დემოგრაფია/გარდაცვალება.* მოპოვებული https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba- დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *მოსახლეობა და დემოგრაფია/დაბადება.* მოპოვებული https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba- დან

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. *ბავშვზე ზრუნვისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა.* მოპოვებული http://atipfund.gov.ge/geo/static/441/bavshvze-zrunvisa-da-akhalgazrdebis-mkhardacheris-programa- დან SOS ბავშვთა სოფელი საქართველო. მოპოვებული ოჯახის გაძლიერების პროგრამა: https://www.sos-childrensvillages.ge/ka/our-work- დან

საქართველოს მთავრობა. (2023). *საქართველოს მთავრობის დადგენილება.* თბილისი.

საქართველოს მთავრობა. (2023, 02 21). *სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.* მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5727062?publication=0- დან

საქართველოს პარლამენტი. (2022, დეკემბერი 01). *საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ.* მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=16- დან

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2018). *ოჯახის გაძლიერების მოდელი.* თბილისი.

საძაგლიშვილი, შ., & შეყრილაძე, ი. (2020). *კონსულტირება სოციალურ მუშაობაში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საძაგლიშვილი, შ., შეყრილაძე, ი., შატბერაშვილი, ნ., მგელიაშვილი, მ., & ნამიჭეიშვილი, ს. (2011). *სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან.* თბილისი.

ცუხიშვილი, ნ., & თუშურაშვილი, გ. (2016). *ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო.* თბილისი.

UNPFA საქართველო. (4 მაისი 2022). *გაეროს მოსახლეობის ფონდსა და „მეამას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი.* მოპოვებული https://georgia.unfpa.org/ka/news/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%

83%9D%E1%83%A1-
%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-
%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A1%E1%83%90-
%E1%83%93%E- დან

child first. (მაისი 2018). მოპოვებული https://www.childfirst.org/- დან

Directorate for Employment, Social Affairs and Inclusion. (2015). *Social policy innovation: Meeting the social needs of citizens.* European Commission.

European Commission. (2014). *Social Innovation: A Decade of Changes.* European union.

Nelson, K. (2011). *Improving the efficiency of social protection: Synthesis report.* Swedish Institue for social research.

Shier, M., & Graham, J. (2014). *social policy in canada.*

The National Academics of Sciences, Engineering, Medicine. (2016). Parenting matters: Supporting parents of children ages 0-8. Washington, DC.

Treatment Alternatives for Safe Communities. (2018).

National Academies of Sciences, Engineering, and Medicine. (2016). *Parenting Matters Supporting Parents Of Children Ages 0-8.* Washington.